ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანებულება

საქართვ. რესპუბლიკის ჯარების მიმართ.

17 სექტემბერი, 1919 წ.

№ 9

სამხედრო მინისტრამდის მიაღწია ცნობებმა, რომ ზოგიერთი სამხედრო ნაწილებს და დაწესებულებებს, რომელთაც შტატით არ ეკუთვნის საორკესტრო მუსიკა, აქვთ სამუსიკო ინსტრუმენტთა თახუმი. სამხედრო მინისტრმა ბრძანა საჩქაროთ მეცნობოს მე მისთვის მოსახსენებლად ნუსხა ნაწილებში მყოფ მუსიკალურ ინსტრუმენტებისა.

18 სექტემბერი 1919 წ. ქ. თფილისი

№ 10

სამხედრო მინისტრმა ბრძანა: მეხუთე ათასეულის ჯარის კაცი მიხეილ ივანეს-ძე **გონელაძე** მიიჩინოს თფილისის სამხედრო ტაძართან ეკლესიის მოსამსახურეთ.

ცნობა: მიმოწერა უფროს მღვდელისა ამა წლის 16 სექტემბრიდან. № 26.

დედანზე ხელს აწერს: გენერალურ შტაბის უფროსი
გენერალი **ზაქარიაძე.**